საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №78/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2020 წლის 31 ივლისის №78 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 ოქტომბრის №78/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორები მიუთითებენ საქმის განხილვის ვადის დარღვევაზე.

1.2. ასევე აღნიშნავენ, რომ მოსამართლე არის მიკერძოებული, იგი არ აკმაყოფილებს მისი აცილების თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობებს და კვლავ განაგრძობს საქმის განხილვას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 24 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, არასრულწლოვანი ბავშვების აღსაზრდელად გადაცემის, მათი საცხოვრებელი ადგილისა და ბავშვებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნით.

2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით, საქმის მასალების ასლები გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს -- სოციალური მომსახურების ცენტრს.

2019 წლის 8 ოქტომბერს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოპასუხემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2019 წლის 11 ოქტომბერს. 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, -- -- შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

2019 წლის 4 დეკემბერს დაინიშნა პირველი მოსამზადებელი სხდომა. მხარეთა მორიგების მიზნით სხდომა გადაიდო 2019 წლის 20 დეკემბერს.

2019 წლის 16 დეკემბერს მოპასუხემ კვლავ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომელიც მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა განსახილველად. შეგებებულ სარჩელზე წარდგენილ იქნა შესაგებელი.

საქმის განხილვისათვის შემდგომი მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2019 წლის 10 თებერვალს.

2019 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მოსამართლემ შეგებებული სარჩელის ასალები გადაუგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს -- სოციალური მომსახურების ცენტრს. 2019 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე. 2019 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი.

საქმის განხილვა გაგრძელდა 2020 წლის 13 აპრილს. საქმეში დევს სხდომის მდივნის აქტი, სადაც მითითებულია, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო საქმის განხილვა 2020 წლის 13 აპრილს არ გაიმართა და იგი გადაიდო სხვა დროისთვის. საქმის განხილვისათვის სხდომა ჩაინიშნა 2020 წლის 29 ივლისს. 2020 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა სამი საოქმო განჩინება მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ; 2020 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა განჩინება დროებითი განკარგულების შეცვლის შესახებ. საქმის განხილვა გაგრძელდა 2020 წლის 24 სექტემბერს. საქმის განხილვა გაგრძელდა 2020 წლის 20 ოქტომბერს.

2.2. 2019 წლის მდგომარეობით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 663 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა - 489 სამოქალაქო საქმე (74%); 2020 წლის მდგომარეობით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 1,049 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა - 656 სამოქალაქო საქმე (63%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- და -- -- 2020 წლის 31 ივლისის №78 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადები, ამდენად იმისათვის, რომ დადგინდეს მითითებული გარემოება, მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასება მივცეთ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქმის განხილვის ვადების არაგონივრულად დარღვევის დროს საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლე -- -- იხილავს სამოქალაქო სამართლის დავებს, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2019 წლის 24 სექტემბერს, მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2019 წლის 11 ოქტომბერს. ამდენად, საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა უნდა მოხდეს კონკრეტული თარიღიდან (2019 წლის 11 ოქტომბრიდან). საქმე მოსამართლის წარმოებაში იხილება 1 წლის განმავლობაში, ანუ საქმის განხილვა გაჭიანურდა 7 თვის ვადით.

მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ მოსამართლის მიერ ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებზე: როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოსამართლემ ჩაატარა რამდენიმე მოსამზადებელი სხდომა (04.12.2019; 20.12.2019; 10.02.2020; 29.07.2020; 24.09.2020; 20.10.2020). საქმეზე მოსამართლემ მიიღო რამდენიმე სახის 10 განჩინება; მოსამართლემ იმსჯელა შეგებებულ სარჩელებზე; ასევე, საკმაო დრო დასჭირდა სხვადასხვა დაწესებულებებიდან მოსამართლის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარმოდგენას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი ბავშვების აღსაზრდელად გადაცემის, მათი საცხოვრებელი ადგილისა და ბავშვებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ დავა არ განეკუთვნება მარტივ კატეგორიას.

აქვე, უნდა აღინიშნოს 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გამოაცხადა პანდემიად, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და პრეზიდენტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა დეკრეტი (აღნიშნული დამტკიცდა პარლამენტის დადგენილებით 2020 წლის 21 მარტს). 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით. ამას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1 რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მოსამართლეთა მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვის გადადებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით.

მოსამართლის სტატისტიკური მონეცემების, დატვირთულობისა და მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადის ბრალეული გაჭიანურება არ დასტურდება.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მოსამართლის აცილების საფუძვლებს, მათ შორის 31-ე მუხლი შეიცავს იმ ჩამონათვალს, რომლის არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმას, რაც არ გვაძლევს ამ მუხლში მითითებული დანაწესის ინტერპრეტირების საშუალებას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვექნება, რომელიმე პუნქტით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევა, მოსამართლე ვალდებულია აიცილოს საქმე და არ განიხილოს იგი.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა ეჭქვეშ დააყენა მოსამართლის მიუკერძოებლობა და სწორედ ამ საფუძვლით მოითხოვა მისი აცილება.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას.[1] მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება სწორედ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებასა და სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.[2] ბანგალორის პრინციპების კომენტარებში აღნიშნულია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსამართლე არა მარტო უნდა იცავდეს მიუკერძოებლობის ობიექტურ კრიტერიუმებს, არამედ ხაზგასმით უნდა ცდილობდეს ამის დემონსტრირებას.[3]

სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც. კონვენციის აღნიშნული მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევას, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ, ასევე უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამორიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით.[4] ამდენად, მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერ დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა".[5]

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური

[1] PADOVANI v. ITALY

[2] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, 2.5 პუნქტი

[3] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები,VII თავი

[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე №2/5273- 13;

[5] MICALLEF v. MALTA; WETTSTEIN v. SWITZERLAND

თვალსაზრისით, ანუ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა და მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა.[6]

მიუკერძოებლობა როგორ წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ (Micallef v. Malta §94). სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (Hauschildt v. Denmark §48, Micallef v. Malta §96, Pescador Valero v. Spain §21).

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.[7]

საქმის შედეგით მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება და მისი სუბიექტური მიკერძოება რთული დასამტკიცებელი გარემოებაა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიკერძოება ვერ მტკიცდება, ასეთ დროს დამატებით უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი. ანუ, უნდა არსებობდეს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ობიექტურ საფუძველს უქმნის. ასეთ დროს მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, არის თუ არა მოსამართლე მართლაც მიკერძოებული სუბიექტურად. მთავარია, არსებობდეს რაიმე ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული, ლოგიკური იყოს.

რაიმე სახის მტკიცებულება, რაც მოსამართლის მიუკერძოებლობას ეჭქვეშ დააყენებს საქმეში არ მოიძებნება, ასევე არ არსებობს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მოსამართლის აცილების სხვა რომელიმე საფუძველი. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულისა გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ნიშნები არ იკვეთება.

---

[6] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები, პარაგრაფი 53

[7] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, გვ. 107 (81)

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №78/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი